<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აპრილი 2017 წელი

ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ალექსანდრე წულუკიძის ქუჩის II შესახვევისთვის, მასთან არსებული ჩიხისთვის და შესახვევისთვის პოეტის ოსიპ მანდელშტამის სახელის მინიჭების შესახებ

I. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ისნის რაიონში, ალექსანდრე წულუკიძის ქუჩის II შესახვევს (II შესახვევი ჩამოყალიბდა ქუჩად), მასთან არსებულ ჩიხს და შესახვევს მიენიჭოს პოეტის ოსიპ მანდელშტამის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

X- 488,290.591
Y-4,615,576.262
X- 488,287.575
Y-4,615,560.387
X-488,405.685
Y-4,615,544.354
X- 488,441.880
Y-4,615,553.879
II შეს.
X- 488,512.365
Y-4,615,554.037
X- 488,269.160
Y-4,615,480.377
ოსიან მანდელშტამის ქ.
X- 488,272.176
Y-4,615,473.710
X- 488,468.129
Y-4,615,418.718
X- 488,560.839
Y- 4,615,408.597
X- 488,890.999
Y-4,615,388.929
X- 488,407.272
Y-4,615,425.608
ოსიან მანდელშტამის ქ.
X- 488,557.520
Y- 4,615,370.708
X- 488,795.219
Y- 4,615,382.303
I ხიდი
I შეს.
X- 488,443.242
Y-4,615,277.261
X- 488,565.746
Y- 4,615,360.052
X- 488,835.294
Y-4,615,240.441

02/714

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის კულტურის საქალაქო
სამსახური

KA010186140169816

№14/173850

05 / ივლისი / 2016 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ლია ჯახველაძეს

მის. თავისუფლების მოედანი 2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურში შემოვიდა საერთაშორისო ასოციაცია „TIP" -ის გამგეობის თავმჯდომარის, გოჩა გოგუაძის წერილი (N237778/12), რომელიც ეხება ქალაქ თბილისის ძველ უბანში რომელიმე ქუჩისთვის ებრაელი პოეტის, ოსიპ მანდელშტამის სახელის მინიჭების საკითხს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გიგზავნით აღნიშნულ წერილს შემდგომი რეაგირებისათვის.

დანართი: 1 გვერდი.

პატივისცემით,

კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი — ია მაქაცარია-ჩხაიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
№ 08/12520
"06" ივლისი 2016
ფურცლის რაოდენობა 2 ფურცელი
0105, თავისუფლების მოედანი №2

ქალაქ თბილისის მერს
ბატონ დავით ნარმანიას
მოქალაქე გოჩა გოგუაძის
პ/ნ: 61001008332
ტელ: 599 302 708

მს. ფოიერთან ქ. 8
ტ. 42

განცხადება

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ გამოჩენილ ებრაელ პოეტს ოსიპ მანდელშტამს, რომელიც აღიარებულია მე-20 საუკუნის ყველაზე დიდ ებრაელ პოეტად, წელს დაბადებიდან 125 წელი უსრულდება. მისი შემოქმედებითი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია საქართველოსთან. ქართული ატმოსფერო იყო პოეტისთვის საფუძველი, რათა დაეწერა რუსულ პოეზიაში თბილისზე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლექსი ,,სიზმრად ვხედავ მთაგორიან თბილისს". განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა საქართველოსთან, თვეებს ატარებდა ქართველ პოეტებთან და კულტურის სხვა მოღვაწეებთან, განსაკუთრებით ცისფერყანწელებთან. თარგმა რუსულ და გერმანულ ენაზე ვაჟა-ფშაველას პოემა ,,გოგოთურ და აფშინა", აგრეთვე ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, გიორგი ლეონიძის, ვაჟა-ფშაველას და ნიკოლო მიწიშვილის ლექსები.

საერთაშორისო ასოციაცია ,,TIP" გამგეობის სახელით მოგმართავთ თხოვნით, მის საიუბილეო წელთან დაკავშირებით, რომლის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოები არაერთხელ გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, თბილისის ძველ უბანში რომელიმე ქუჩას დაერქვას ოსიპ მანდელშტამის სახელი (მისი სახელობის ქუჩები არის მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში, როგორიცაა: ნიუ-იორკი, თელ-ავივი, ვენა, სან-ფრანცისკო, ლონდონი).

აღნიშნული, ამავდროულად იქნება 26 საუკუნოვანი ქართულ-ებრაული მეგობრობისადმი პატივისცემის კიდევ ერთი გამოხატვა.

იმედი გვაქვს თქვენი თანადგომის.

პატივისცემით,

გოჩა გოგუაძე, საერთაშორისო ასოციაცია TIP ის გამგეობის თავმჯდომარე;
ფშავის განვითარების კომისიის წევრი.

5 07 2016 წ.

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია
№ 237781/ბ
05.07.2016 წელი
თბილისი 0160, ზაალიშვილის ქ. №7



ოსიპ მანდელშტამი

(1891 - 1938)

პოეტი

გამოჩენილი რუსი პოეტი ოსიპ მანდელშტამი 1891 წლის 15 იანვარს ვარშავაში დაიბადა. მანდელშტამი სრულყოფილად ფლობდა ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებს, დიდ დროს უთმობდა მთარგმნელობით საქმიანობას. მათ შორის მან რუსულ ენაზე თარგმნა ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, გიორგი ლოენიძის, ნიკოლო მიწიშვილის და ვაჟა-ფშაველას ლექსები.

1933 წლის შემოდგომაზე მანდელშტამმა სტალინის წინააღმდეგ ეპიგრამა დაწერა, რის გამოც 1934 წლის მაისში დააპატიმრეს და ჩრდილოეთ ურალში გადაასახლეს. 1938 წელს პოეტი კვლავ დააპატიმრეს და მას კონტრრევოლუციური მოღვაწეობისათვის ხუთი წლით გადასახლება გამოუტანეს განაჩენად.

ოსიპ მანდელშტამი 1938 წლის 27 დეკემბერს გადასახლებაში გარდაიცვალა. მისი სახელის წარმოთქმა საბჭოთა კავშირში დაახლოებით 20 წლის განმავლობაში იკრძალებოდა. პოეტის მეუღლემ ნადეჟდა მანდელშტამმა საზოგადოებას პოეტის ლექსები და ჩანაწერები შემოუნახა, რომელთა გამოქვეყნებაც მხოლოდ 1960-იან წლებში გახდა შესაძლებელი.